

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
2100 ზუგდიდი, რუსთაველის
ქუჩა N90



MUNICIPAL COUNCIL
OF ZUGDIDI
№ 90 RUSTAVELI ST. ZUGDIDI
GEORGIA

ქ. ზუგდიდი

6 იანვარი 2017 წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N3

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები დავით ნანავას ტრაგიკულად დაღუპვის დაკრძალვისთვის თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 იანვრის N02/28 (შემოსული 6.01.2017 წ N11/03) მომართვის შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები დავით ნანავას ტრაგიკულად დაღუპვის გამო დაკრძალვისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (კოდი 0104) გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის I ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.)

ლ.ადეიშვილი



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მ/შ



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

N 02/28
06/01/2017

28-02-2-201701061409



*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ მაიზურ ნანავას*

ბატონო მაიზურ,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსულია ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება (N264/02 06.01.17), რომელშიც მოქალაქეები ითხოვენ მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაცვლილი დავით ნანავას ოჯახზე დახმარების გაწევას.

როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური დახმარების პროგრამები არ ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას. გამომდინარე აქედან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ დავით ნანავას ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობა და საკრებულოს სხდომაზე განიხილოთ აღნიშნულ ოჯახზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (კოდი 0104) ფულადი დახმარების გაწევის საკითხი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ლაშა გოგია

გამგებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

11/03